

აჭარაში მუნიციპალური იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ნაწილს ქონებრივი დეკლარაცია არასრულად აქვს შევსებული.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ აჭარის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა დროს დაფუძნებული შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების (შპს) ხელმძღვანელი პირების 21 დეკლარაცია შეისწავლა.

შედეგად, დეკლარაციის არასრულად შევსების 8 ფაქტი გამოვლინდა, რომელთაგან 2 ეხება საკუთარი და ოჯახის წევრების მფლობელობაში არსებული წილების მიუთითებლობას, 3 შემთხვევაში თანამდებობის პირებს საკუთარი წილის მართვის უფლება სხვა პირებისთვის მინდობით არ გადაუციათ, 3 შემთხვევაში კი დეკლარაციაში არ აქვთ შეტანილი ოჯახის წევრების მფლობელობაში არსებული ქონება. სამივე გარემოება არღვევს საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მოთხოვნებს.

ბადრი ფარტენაძე


შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორი



„ბათუმის ავტოტრანსპორტი“ 2004 წლიდან ფუნქციონირებს, ბადრი ფარტენაძე დირექტორის თანამდებობას 2017 წლის 25 ივნისიდან იკავებს. მას 2018 წლის 12 სექტემბერს შევსებულ [დეკლარაციაში](#) მითითებული აქვს, რომ 33.3% წილს ფლობს შპს [Marine Safety Net-ში](#), 30% - შპს [„ოქროს თავთავი 2010-ში“](#) და 5% წილს - შპს [Dolphin Salvage Co-ში](#). ბადრი ფარტენაძეს, საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-13 მუხლის თანახმად,¹ აღნიშნული წილები მინდობით სხვა პირისთვის უნდა გადაეცა.

დავით დუმბაძე

შპს „სანდასუფთავების“ დირექტორი



დავით დუმბაძემ, რომელიც შპს „სანდასუფთავებას“ 2018 წლის 29 მარტიდან ხელმძღვანელობს, 22 მაისს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ მიუთითა მეუღლის, ლეილა გოგიაშვილის სამეწარმეო საქმიანობა - ლეილა გოგიაშვილი შპს [PREMIUM.B.-XXI-ს](#) დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელია.

არჩილ ბოლქვაძე

შპს „დინამო ბათუმის“ დირექტორი



არჩილ ბოლქვაძე შპს „ბათუმის დინამოს“ 2017 წლის 29 დეკემბრიდან ხელმძღვანელობს. მას 2018 წლის 19 სექტემბერს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული მეუღლის, ცირა მამუკაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: ცირა მამუკაშვილი [რუსთავში](#) - 33.62 კვ.მ, ხოლო [მწვანე კონცხზე](#) 180 კვ.მ ფართობის მფლობელია.

ნიკო თავდგირიძე

შპს ფრენბურთის კლუბი „ბათუმის“ ხელმძღვანელი



ნიკო თავდგირიძე ფრენბურთის კლუბის, შპს „ბათუმის“ დირექტორია შექმნიდან დღემდე. 2018 წლის 31 მაისს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული საკუთრებაში არსებული ქონება - ის ბათუმში, ინასარიძის ქუჩაზე [75.92 კვ.მ](#) ბინის მფლობელია.

ზვიად კონცელიძე

შპს „ბათუმის გემთსაშენი ქარხნის“ ხელმძღვანელი



ზვიად კონცელიძე შპს „ბათუმის გემთსაშენი ქარხნის“ დირექტორია 2011 წლის 26 ოქტომბრიდან. მას 2018 წლის 26 მარტს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული დედის, ფატი კონცელიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: ფატი კონცელიძე ბათუმში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩაზე 54.62 კვ.მ. [ბინას](#) ფლობს.

თეიმურაზ ბედინაძე

სს „აჭარის წყლის ალიანსის“ დირექტორი



სს „აჭარის წყლის ალიანსის“ დირექტორ თეიმურაზ ბედინაძეს 2018 წლის 5 ივნისს შევსებულ [დეკლარაციაში](#) მითითებული აქვს თავისი სამეწარმეო საქმიანობა. ის შპს [„ბედინას“](#) 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია, თუმცა აღნიშნული წილი მინდობით სხვა პირზე არ გადაუცია.

ჯემალ მეგრელიძე

შპს „ქობულეთის წყლის“ დირექტორი



ჯემალ მეგრელიძე შპს „ქობულეთის წყლის“ დირექტორის თანამდებობას 2018 წლის 13 აპრილიდან იკავებს. მას 2018 წლის 1 მაისს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული საკუთარი და მეუღლის, ნანა წივნივაძის სამეწარმეო საქმიანობა. ჯემალ მეგრელიძე შპს [„ალფა ტრანსის“](#) 50% წილის მფლობელი და დირექტორია, ნანა წივნივაძე კი შპს [„ლირის“](#) 50%-იანი წილის მფლობელია.

მალხაზ სურმანიძე

შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ დირექტორი



მალხაზ სურმანიძე შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ 2010 წლიდან ხელმძღვანელობს. მას 2018 წლის 20 მარტს შევსებულ [დეკლარაციაში](#) მითითებული აქვს, რომ შპს [„დიდვაკე-მ.ა-ს“](#) დირექტორია, თუმცა ამავე კომპანიის 50% წილის ფლობის შესახებ არ მიუთითებია.

თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების შემოწმების საკითხი კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, შესაბამისად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ მიმართავს საჯარო სამსახურის ბიუროს წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შეისწავლოს კვლევაში აღნიშნული პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

1 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=63>